ოქმი:**ო37. 37232904**
თარიღი:**17/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ქარჩავას

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 12 ოქტომბერი
ქ.ოზურგეთი
11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ : მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლავრენტი ბიგვავა,საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ ნანა ქარჩავა, არის საუკეთესო ადამიანი, მეგობარი და საკრებულოს წევრი. მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ნანა ქარჩავა რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნ. ქარჩავამ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში და აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი“,2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოცდახმარების გაცემისა და მიღების წესი.“ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ნანა ქარჩავა არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში და ანგარიში შეფასებული იქნა დამაკმაყოფილებლად

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად აკმაყოფილებს რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ნანა ქარჩავას უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი